

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ში განხორციელებული
2016-2017 სასწავლო წლის გამოკითხვის შედეგების შესახებ
ანგარიში



წინამდებარე ანგარიში ასახავს აკადემიაში 2016-2017 სასწავლო წლის მიმდინარე პერიოდში განხორციელებულ საქმიანობასა და გამოკითხვის შემაჯამებელ სტატისტიკურ ინფორმაციას.

ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია და სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტები

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ სისტემატურად ხორციელდება აკადემიის ხარისხის მართვის სისტემის შეფასება, გამუჯობებსზე ზრუნვა და ამ მიმართებით დასახული მიზნების შესრულების მონიტორინგი და ანალიზი. ამ მიზნის შესასრულებლად დაწესებულებას დანერგილი აქვს შეფასების არა ერთი ინსტრუმენტი, როგორც შიდა ისე გარე. სისტემატურად ხორციელდება ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასება, ასევე EFQM-ის სწრაფი თვითშეფასება (RADAR), რომლის განხორციელების პროცესში ჩართულია გარე ექსპერტები, მათ შორის უცხოელი. დაწესებულება ასევე ჩართულია, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ბრენდირების პროცესში, რომელიც ყოველწლიურად იმართება.

დაწესებულების მიერ, EFQM-ის გზით სრულყოფაზე ორიენტირებული განვითარების პროექტში, უკვე განხორციელდა ხარისხის სრულყოფის 3 პროექტი, რომელთა წარმატებით განხორციელების საფუძველზე მოიპოვა ევროპული ხარისხის მართვის ფონდის სერტიფიკატი C2E.

გარე ვალიდატორების უშუალო დაკვირვებითა და ჩართულობით, შიდა შეფასების ინსტრუმენტით (RADAR) განხორციელებული თვითშეფასების ორი წლის შედეგები ასე გამოიყურება.



პროექტის ფარგლებში განხორციელებული სრულყოფის პროექტების საფუძველზე შემუშავდა ხარისხის სისტემის გამუმჯობესებისა და სრულყოფის შემდგომი პროექტები, რომლებიც მოიცავენ ასევე EFQM ვალიდატორების დასკვნაში მითითებულ რეკომენდაციებს. კერძოდ: 2015-2016 წლის განვითარების პროექტის „პროცესების ჩარჩოს განსაზღვრა“, მის საფუძველზე დაიგეგმა პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული

პროცესების (ძირითადი და დამხმარე) მართვის მექანიზმების უზრუნველყოფა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა. განისაზღვრა პრიორიტეტული პროცესები: სტარტეგიული დაგეგმვა და მენეჯმენტი, ოპერატიული მენეჯმენტი, დოკუმენტაციის მართვა, ინფორმაციის მართვა/კომუნიკაცია, მონიტორინგისა და მონაცემთა ანალიზის დოკუმენტური უზრუნველყოფა. დაიგეგმა ამ პროცესების პრეცედურების დოკუმენტური უზრუნველყოფა.

EFQM-ის გზით სრულყოფაზე ორიენტირებული განვითარების პროექტის ფარგლებში დაიგეგმა პროექტები: „საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ორგანიზება და მართვა“, „შიდა აუდიტი და ხარისხის სისტემის მენეჯმენტის ანალიზი“, რომლებმაც მოიცვეს ზემოთ აღნიშნული ჩარჩოთი განსაზღვრული პროცესები.

აღნიშნული პროექტებით უზრუნველყოფილი იქნა საქმისწარმოებისა და ინფორმაციის მართვის, მონაცემთა ბაზების შინაარსის ფორმირება, ასევე შეფასების დამატებითი ინსტრუმენტისა და კრიტერიუმების შემუშავება.

2016 წლის პროფილის ანალიზიდან, დაწესებულებამ პრიორიტეტულად დაისახა ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდა კლიენტებისთვის და პარტნიორობის განვითარება, რაც ასევე წარმოადგენს მიღწეული მაჩვენებლების შენარჩუნებასაც. დაწესებულების მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთობლივი შემუშავებული პროექტის ინტელექტუალური „ბიზნესოლიმპიადის“ ჩატარება რეგიონში, რომლისთვისაც შეირჩა აჭარის რეგიონი. აღნიშნული პროექტი მოიცავს სხვა დანარჩენ EFQM კრიტერიუმებსა და ქვეკრიტერიუმებს, უზრუნველყოფს ასევე აკადემიის მისიის შესრულებასა და დაწესებულების ცნობადობის გაზრდას მომხმარებლისთვის.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა ასევე დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიის (2015-2020) მიმდინარე წლის ამოცანების შესრულების ანალიზი.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნის „პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის“ ამოცანები, კერძოდ დამსაქმებელთან სწავლის შედეგებისა და პროგრამის სავალდებულო შეთანხმება, ნაწილობრივ უზრუნველყო პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულმა რეფორმამ, ხოლო საბაკალავრო და პროფესიული ე.წ. საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით საკითხი კვლავ აქტუალურია. აკადემიას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების პროცედურა. აკადემია მეორე წელია მუშაობს საბაკალავრო პროგრამის დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე „საზოგადოებასთან ურთიერთობის

სპეციალისტი“, ასევე დამატებითი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის მაქსიმალურად ითვალისწინებს მომხმარებლის ინტერესებს.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ამოცანები, რომლებიც მოიცავენ დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის მონიტორინგს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს, აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, ჩართულია „შიდა აუდიტი და ხარისხის სისტემის მენეჯმენტის ანალიზის“ სრულყოფაზე ორიენტირებულ პროექტში.

დასახვეწი და გასავითარებელია სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის შეგროვებისა და მონიტორინგის, ასევე დამსამქმებელთა კმაყოფილების კვლევის მექანიზმები; შემუშავებულია კურდამთავრებულთა კვლევის ინსტრუმენტები, გამოკითხული კურდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი, თუმცა აქამდე არ განხორციელებულა მათი ანალიზი.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნის „სტუდენტთა შეფასების სისტემის სრულყოფის“ ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის, ბიზნესის მართვის ადმინისტრირების ფაკულტეტისა და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ სისტემატურად ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება სწავლის შედეგებთან შესაბამისობაზე, ასევე მათ საანდოობასა და ვალიდურობაზე. აკადემიაში დანერგილია შეფასების ე.წ. „ბრმა მეთოდი“, წერითი გამოცდები ტარდება დამკვირვებლების მეთვალყურეობით სპეციალურ საგამოცდო სივრცეში. მიმდინარე წელს დაპილოტდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ინგლისური ენის სასწავლო კურსის ტესტირება. შეფასების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება აკადემიის სამომავლო გეგმების ერთ-ერთი პრიორიტეტს წარმოადგენს.

მოდულური პროგრამის განხორციელების ფარგლებში შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და ვერიფიცირების გრაფიკი, ხოლო საგნობრივი და საბაკალავრო სწავლების ფარგლებში ფაკულტეტისა და პროფესიული დეპარტამენტის მიერ ხდება შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენის ადმინისტრირება. ყველა შეფასების ინსტრუმენტი, გამოცდამდე გადის ვერიფიცირების პროცესსა და შეთანხმებას ხარისხის მართვის სამსახურთან.

შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით აკადემიის პერსონალისთვის, როგორც აკადემიური, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, განხორციელდა

ტრენინგები შეფასების სისტემის ცვლილებისა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების შესახებ.

საბაჟო საქმის სპეციალისტის მოდულური პროგრამის, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების „პროფესიული პროგრამების ხელშეწყობისა და განვითარების პროექტის“ ფარგლებში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის მონიტორების მიერ, აკადემიის მასწავლებლების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ანალიზის საფუძველზე, აკადემიის გარე მონიტორინგის დასკვნაში რეკომენდებული იქნა შიდა შეფასების ბანკის შექმნა, რისი განხორციელებაც აკადემიამ უკვე დაიწყო, აღნიშნული საკითხი შეტანილია წლიურ გეგმაში.

შეფასების სისტემისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიზნით, MCA საქართველო, პროფესიული განათლება ეკონომკის განვითარებისთვის (ISWD) პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა ორი სავალდებულო მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ და „მეწარმეობა“ შეფასების ინსტრუმენტები და განხორციელების მეთოდოლოგია. ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას წინ უძღოდა უცხოური და ადგილობრივი გამოცდილების შესწავლა-გაზიარება.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნის „აკადემიური პერსონალი და მასწავლებლების“ მიმდინარე პერიოდის აქტივობებიდან პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ადეკვატურობისა და მისი ამალგების მონიტორინგი ხორციელდება სისტემატურად, დაწესებულების ავტორიზაცია-აკრედიტაციის თვითშეფასებისა და საქართველოს კერძო კოლეჯების მიერ ორგანიზებული ბრენდირების პროცესის დროს. ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიის ამოცანა, პერსონალის ატესტაციის შესახებ, რომელიც გაწერილია მიმდინარე წელს, ამ დრომდე არ შესრულებულა.

ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია - „სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა“ - სტუდენტთა პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულება მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს. მიმდინარე წელს აკადემიის მიერ მოეწყო დასაქმების ფორუმი, ასევე მოწვეული HR სპეციალისტების მიერ ჩატარდა სტუდენტთა ტრენინგები, დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებისა და დამსაქმებელთან ინტერვიუს წარმატებით განხორციელების მიზნით. გაიმართა არა ერთი კულტურული და შემეცნებითი ღონისძიება, ლექცია-სემინარები, ინტელექტუალური თამაშები სასწავლო ექსკურსიები და სხვ. დაწესებულების მიერ ასევე ორგანიზებული იყო ვიზიტები და სტუდენტების პრაქტიკა-სტაჟირება წარმატებულ ქართულ კომპანიებში. დაწესებულება მუდმივად მხარს უჭერს

სტუდენტური თვითმმართველობის მხრიდან ინიცირებულ ღონისძიებებს, საერთაშორისო დღეების აღნიშვნასა და სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებების განხორციელებას (განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში).

დაწესებულება სისტემატურად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს პროცედურის მოთხოვნათა შესაბამისად, ასევე დადგენილი გეგმის შესაბამისად ხორციელდება მეცადინეობებსა და შეფასების პროცედურებზე დასწრება, რაც დოკუმენტირდება და ისახება ანალიზის დოკუმენტსა და სამომავლო გეგმებში. მიმდინარე წელს განხორციელებული დასწრების ანალიზით, გამოიკვეთა სტუდენტთა დასწრებისა და მოტივაციის დაბალი მაჩვენებელი, რაც გარკვეულწილად რისკის შემცველია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის უზრუნველყოფისთვის. ასევე მნიშვნელოვან განვითარებას საჭიროებს ინტერაქტიული მეცადინეობებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა. გაუმჯობესება-გადლიერებას საჭიროებს ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერები) და პერსონალის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენციები.

ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია - „დოკუმენტაცია და ინფორმაციის საჯაროობა“ - აღნიშნული ამოცანის უმრავლესი კომპონენტი მთლიანად მოიცავს EFQM-ის გზით სრულყოფაზე ორიენტირებული განვითარების პროექტმა „საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ორგანიზება და მართვა“, ამასთან გათვალისწინებული იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ნორმატიული მოთხოვნები. ინფორმაციის გავრცელების ოპერატიულობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მენეჯმენტის მხრიდან მიღებულია გადაწყვეტილება სტუდენტური პორტალისა და ვებ-გვერდის საკომუნიკაციო ფუნქციების გაზრდის შესახებ.

დოკუმენტებთან მიმართებით გაუმჯობესებას საჭიროებს სასწავლო დოკუმენტაციის მართვა, რაც გულისხმობს პერსონალისთვის რუტინული საქმიანობის არიდებას და სასწავლო პროცესის მაქსიმალურად ავტომატიზებას. ამ მიზნით გასულ წელს გაუქმებული იქნა ყოველდღიური მეცადინეობების ჩანაწერების ფურცელი, იმ მიზნით, რომ პერსონალი შესაბამის ინფორმაციას ასახავდა აკადემიის ელექტრონულ პორტალზე, რაც უმრავლეს შემთხვევაში არ ხდება ან დაგვიანებით ხდება, ასევე, ადმინისტრაციის მხრიდან მისი მონიტორინგი გარკვეულ სირთულეებს წარმოადგენს. აღნიშნული საკითხთან მიმართებაში დაწესებულების მენეჯმენტის მხრიდან უკვე გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები.



საქმიანობის შეფასებისა და პერსონალის გამოკითხვისას გამოიკვეთა საჭიროება, დოკუმენტაციის მართვისა და საქმისწარმოების წესების შესახებ ტრენინგების აუცილებლობის შესახებ.

ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით აკადემია ჩართულია საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში. გაფორმდა ხელშეკრულებები უცხოელ პარტნიორებთან: პოლონეთისა და ლატვიის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. აკადემიის ადმინისტრაცია იმყოფებოდა ვიზიტებით პარტნიორებთან (ლატვიასა და სომხეთში), დაიგეგმა თანამშრომლობის კონკრეტული პროექტები და ღონისძიებები. თუმცა საკუთარი სტუდენტების აღნიშნულ პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა დაბალია მათი უცხო ენების არასაკმარისი ფლობის, მოტივაციისა და დაფინანსების ნაკლებობის გამო.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს უცხო ენაზე ცალკეული სასწავლო კურსებისა და უცხო ენის გაძლიერებულ სწავლებას. პროგრამები მოიცავენ ინგლისური და რუსული ენის სასწავლო კურსებს. ასევე სტუდენტების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით აკადემიაში რეგულარულად ტარდება ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ ინგლისურ ენაზე.

დაბალია მასწავლებლების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოხილვაც. დაბალია პერსონალის ცნობიერების დონე ინტერნაციონალიზაციის ღონისძიებებისა და შესაძლებლობების შესახებ.

დაწესებულება ახორციელებს ინგლისურ ენოვან საბაკალავრო პროგრამას. თუმცა, გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ბარიერების გამო, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამაზე საკმაოდ მწირია.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევები და შეფასებები

გამოკითხვა განხორციელდა აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ანკეტა-კითხვარებით და ძირითადად მოიცვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პროცესების შეფასება. ასევე, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოდულური პროგრამის დანერგვის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული კითხვარების გამოყენებით.


❖ **სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესისა და აკადემიის სერვისების ეფექტურობის შეფასება**

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა აკადემიური და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა (გამოკითხული იყო სულ 39 სტუდენტი, მათ შორის 21 პროფესიული სტუდენტი, 18 - ბაკალავრი), მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (სულ 48 ანკეტა). ამ უკანასკნელის შესახებ ანგარიში მიწოდებული იქნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში.

სამსახურის მიერ განხორციელდა სტუდენტების მიერ აკადემიის სერვისებისა და ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეფასებების შედარება გასული წლის მაჩვენებლებთან. გასულ სასწავლო წელთან შედარებით საბაკალავრო სტუდენტების შეფასებით აკადემიის სერვისების ეფექტურობის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, ხოლო პროფესიული სტუდენტების შეფასებით უცვლელია. ზოგადად აკადემიის სერვისების ეფექტურობა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა მხრიდან უფრო მაღალი ქულებითაა შეფასებული, ვიდრე პროფესიული სტუდენტების მიერ. რაც იმის მაჩვენებელად შეიძლება ჩაითვალოს, რომ აკადემია ინარჩუნებს მიღწეულ შედეგებს.

სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ სერვისების შეფასებება სტუდენტთა მიერ შეფასება გრაფიკულად შემდეგი სახით გამოყურება.¹


¹ VET - სიმბოლოთი აღნიშნულია პროფესიული სტუდენტების მაჩვენებლები და შეფასებები, ხოლო B - სიმბოლოთი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების.



ნახ.4 სასწავლო პროცესის, სწავლებისა და რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და აკადემიის მხრიდან ზოგადი კონსულტირების შეფასება

კითხვების შინაარსი ანკეტიდან:


- I. აკადემიაში მოსვლისას მომეწოდა სრულყოფილი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და გამეწია კონსულტაცია სპეციალობის/დამატებითი სპეციალობის არჩევისთვის
- II. მომეწოდა ამომწურავი ინფორმაცია პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, ჩარიცხვის წინაპირობების, პრაქტიკის ობიექტების და პროგრამის სხვა მახასიათებლების შესახებ
- III. მომეწოდა ინფორმაცია რეგისტრაციის პროცედურების და სწავლის და მომსახურების ტარიფების შესახებ
- IV. ხელმისაწვდომია სასწავლო კურსების სილაბუსები
- V. ჩემთვის ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური მეცადინეობა



ნახ. 5. არჩევითი კომპონენტის, სოციალური პროგრამების, სპორტულ-კულტურული ღონისძიებებისა და პროექტებში შეფასება.

კითხვების შინაარსი ანკეტიდან:


- I. ფორს-მაჟორულ სიტუაციაში აკადემიის ადმინისტრაცია ითვალისწინებს ჩემს მდგომარეობას და მეხმარება ადეკვატურად
- II. აკადემიაში ხელმისაწვდომია სოციალური პროგრამებით სარგებლობა
- III. აკადემიაში ხორციელდება სტუდენტთათვის განტვირთვის და დასვენების ღონისძიებები, როგორცაა ექსკურსიები, სადამოები და სხვა
- IV. აკადემიაში ხორციელდება სხვადასხვა ინტელექტუალური, სპორტული და კულტურული ღონისძიებები
- V. გვაქვს საშუალება მონაწილეობა მივიღოთ კვლევითი პროექტების განხორციელებაში



ნახ. ადმინისტრაციის, საფინანსო და სასწავლო პროცესის სამსახურების შეფასება.

კითხვების შინაარსი ანკეტიდან:

- I. ადმინისტრაცია ყოველთვის მიწევს კვალიფიციურ კონსულტაციას ჩემთვის საჭირო თემაზე
- II. მაქვს საშუალება ცივილიზებული ფორმით გამოვხატო ჩემი აზრი, პროტესტი, კმაყოფილება ამა თუ იმ საკითხზე
- III. ადმინისტრაცია არ მიქმნის დამატებით ბარიერებს ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად
- IV. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის სამსახური ჩემი დაინტერესების შემთხვევაში ამომწურავდ მაწვდის ინფორმაციას აკადემიური მოსწრებების, გაცდენების, დანიშნული გამოცდების, მათი გადაბარების შესაძლებლობებისა და სხვა საკითხების შესახებ
- V. საფინანსო სამსახური ჩემი დაინტერესების შემთხვევაში ამომწურავდ მაწვდის ინფორმაციას ჩემი ფინანსური დავალიანებისა და სხვა საკითხების შესახებ



ნახ. 6 აკადემიის სტრუქტურული ერთეულებისა და სერვისების ზოგადი შეფასება

კითხვების შინაარსი ანკეტიდან:

- I. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ჩემი დაინტერესების შემთხვევაში ამომწურავად მაწვდის ჩემთვის საჭირო ინფორმაციას აკადემიაში მიმდინარე საკითხების შესახებ
- II. ხარისხის მართვის სამსახური ჩემი დაინტერესების შემთხვევაში ამომწურავად მაწვდის ჩემთვის საჭირო ინფორმაციას
- III. ბიბლიოთეკის გამგე ჩემი დაინტერესების შემთხვევაში ამომწურავად მაწვდის ჩემთვის საჭირო ინფორმაციას
- IV. სამედიცინო სამსახური ჩემი დაინტერესების შემთხვევაში მიწევს სათანადო კონსულტაციას ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე
- V. ზოგადი შეფასება/კომენტარი აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ

საბაკალვრო პრაგრამის სტუდენტების მიერ, *საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტების არჩევის შესაძლებლობა და არჩევისას რეგისტრაციის პროცედურების შესახებ ინფომირება*, საშუალოდ შეფასდა - 4,8 ქულით.

როგორც ანალიზით გამოიკვეთა, გასულ სასწავლო წელთან შედარებით აკადემიის სერვისების ეფექტურობის მაჩვენებელი გაუმჯობესებული ან შენარჩუნებულია, თუმცა პროფესიული მასწავლებლებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ანკეტებიდან ირკვევა, რომ არის რიგი გასაუმჯობესებელი საკითხები. მაგ. ანკეტების კომენტარების ნაწილში მითითებულია, რომ არ ხდება პედაგოგების მიერ სათანადო სასწავლო ლიტერატურის მითითება, სტუდენტების დროული ინფორმირება შედეგების შესახებ. ასევე პროფესიული სტუდენტების გარკვეული ნაწილი, უფრო დაბალი ქულებით აფასებს ინფორმაციის ოპერატიულ მიწოდებასა და სტრუქტურულ ერთეულების საქმიანობის ეფექტურობას, ვიდრე ბაკალავრები.



ნახ. 7 აკადემიის სტრუქტურული ერთეულების რეიტინგი

გასულ წელთან შედარებით დაბალი მაჩვენებლებია, ადმინისტრაციის მხრიდან მიწოდებული კვალიფიციური კონსულტაციისა და ინტელექტუალური ღონისძიებების განხორციელების შესახებ. კონსულტირებასთან დაკავშირებული მაჩვენებელი შესაძლებელია აიხსნას კადრების ცვლით, ხოლო ინტელექტუალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით მაჩვენებლები, არადაკვატურად გამოიყურება რეალურ ფაქტებთან

შედარებით. სტუდენტთა ძირითადი ნაწილის ანკეტირება განხორციელდა სასწავლო წლის პირველ ნახევარში, თუმცა ღონისძიებები ამ პერიოდშიც საკმარისად არის განხორციელებული.

საგრძნობლადაა გაუმჯობესებული მაჩვენებლები შემდეგი საკითხებთან მიმართებით:

	2015-2016	2016-2017	
		პროფესიული სტუდენტები	საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები
ინდივიდუალური მეცადინეობის ხელმისწავდომობა	3,7	4,1	4,8
სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობა	3,8	4,0	4,3

საშუალოდ, 5 ქულიანი სკალის ფარგლებში, აკადემიის სერვისების შეფასების ქულა გასული წლის შედეგებით შეადგენდა 4.1 ქულას, ხოლო მიმდინარე გამოკითხვით – 4,5.

ანკეტების სარეკომენდაციო ნაწილიდან, რომელიც ფაქტობრივად არ არის შევსებული სტუდენტების მხრიდან, დაფიქსირდა რამდენიმე რეკომენდაცია-შენიშვნა:

- მოკლე ტექსტური შეტყობინების სრვისის უზრუნველყოფა სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით
- ადმინისტრაციული პერსონალის გამოცდაზე დასწრება
- ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა

განხორციელდა ასევე კითხვარის პილოტირება „პიროვნული ღირებულებების გამოვლენის“ მიზნით. გამოკითხვის მიზანი იყო სტუდენტთა პიროვნულ ღირებულებებთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და დამოკიდებულების გამოვლენა ისეთი საკითხების მიმართ როგორებიცაა: სამოქალაქო მოვალეობები, გენდრული თანასწორობა და ემანსიპაცია, დეკრიმინალიზაცია, ასევე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და პიროვნული პასუხისმგებლობა, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ და სხვა.

გამოკითხვის მიზანი იყო გამკვეთილიყო ძირითადი ასპექტები, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტებში თანამედროვე საზოგადოებისთვის საჭირო ღირებულებების განვითარების შესაძლებლობა. გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამ მიმართულებით საჭიროა

როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე მის მიღმა, მეტი აქტივობებისა და შემეცნებითი ღონისძიებების დაგეგმვა.

❖ **არჩევითი კომპონენტის შესახებ გამოკითხვა**

არჩევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა ასევე არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ გამოკითხვა. სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყო 10 სასწავლო კურსი. სტუდენტების მიერ შერჩეული იქნა სამი სასწავლო კურსი: „საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატიის ისტორია“, „ფოტოგრაფია და კინოგადაღება“, „ღონისძიებების მენეჯმენტი“. სამსახურის მიერ სასწავლო კურსების ხელმძღვანელებთან კოორდინირებით შემუშავებული იქნა აღნიშნული სასწავლო კურსები (იხ. გამოკითხვის ანგარიში).

❖ **სატრენინგო კურსების განხორციელების ეფექტურობის შეფასება**

2016-2017 სასწავლო წლისთვის შემუშავდა და გადამუშავდა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები: „ბანკის მოლარე-ოპერატორი“, „ბაგა-ბაღის აღმზრდელი“, „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, „სადაზღვევო აგენტი“, „ელექტრონული ბუღალტერია“ და „ოფისის მენეჯერი“.

მიმდინარე სასწავლო წელს, სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადა მზადების პროგრამის ფარგლებში, ამ პროგრამებზე განხორციელდა ბენეფიციართა მომსახურება. სულ აკადემიის საგანმანათლებლო სერვისით ისარგებლა 80 პირმა. აქედან სერტიფიკატი გაიცა 75 მსმენელზე. სერტიფიკატების გადაცემა გაიმართა საზეიმო ვითარებაში, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალი გაშუქდა მასმედიის საშუალებებით.

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის გამოკითხვის შედეგები:

N		1	2	3	4	5	6	7	Σ
		რამდენად საინტერესო იყო ტრენინგის მიერ მოწოდებული მასალა	მოგვით თუ არა ტრენინგმა ახალი ცოდნა ან ინფორმაცია	შემლებთ თუ არა. მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას?	ლოგიკურად და თანმიმდევრულად იყო აწყობილი ტრენინგი?	შეაფასეთ მოწოდებული მასალის ხარისხი, ოპერატიულობა, რამდენად გასაგები იყო სატრენინგო მასალა?	რამდენად კომფორტული იყო სატრენინგო გარემო?	საკმარისი იყო თუ არა ტრენინგის ხანგრძლივობა და განხორციელებულ აქტივობა/აქტივობ ები?	
1	ბანკის მოლარე- ოპერატორი	3.9	3.777777778	3.666666667	3.888888889	3.888888889	3.888888889	3.444444444	26.455556
2	ელექტრონული ბუღალტერია	3.5	3.75	3.25	2.5	3	3.125	2.625	21.75
3	ბაგა-ბადის აღმზრდელი	3.8	3.8	3.7	3.666666667	4	4	3.444444444	26.411111
4	ოფისის მენეჯერი	3.888888889	4	3.555555556	3.777777778	3.8	3.888888889	2.444444444	25.355556
5	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	4	4	4	4	4	4	4	28
6	სადაზღვევო აგენტი	3.571428571	3.4	3.333333333	3.285714286	3.571428571	3.71428571	2.833333333	23.709524
		3.7767196	3.787962963	3.584259259	3.51984127	3.71005291	3.7695106	3.131944444	25.28029

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის რეიტინგი და დაგეგმვისა და მიწოდებული მასალის ხარისხის ეფექტურობის მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

		მასალის ხარისხი	დაგეგმვა
მცირე ბიზნესის მწარმოებელი	28	4	4
ბანკის მოლარე- ოპერატორი	26.45555556	3.8	3.8
ბაგა-ბადის აღმზრდელი	26.41111111	4	3.6
ოფისის მენეჯერი	25.35555556	3.8	3.7
სადაზღვევო აგენტი	23.70952381	3.5	3.2
ელექტრონული ბუღალტერია	21.75	3	2.5

ადამიანური რესურსი

გასულ წლებთან შედარების მიმდინარე სასწავლო წელი შედარებით სტაბილურია ადმინისტრაციული პერსონალის დენადობის თვალსაზრისით. ასევე სტაბილურია, სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა და მობილობის მაჩვენებლები.

❖ სტუდენტები

2016-2017 სასწავლო წელს აკადემიის სტუდენტის სტატუსი მოიპოვა 130 პირმა, მათ შორის 122 პროფესიული სტუდენტი. გასულ სასწავლო წელთან შედარებით სტუდენტთა საერთო რაოდენობისა და მობილობით სტუდენტთა მოძრაობის მაჩვენებლები სტაბილურია. სტუდენტთა მოზიდვის მიზნით აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სარეკლამო ღონისძიებები. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით აყვანილი იქნა დამხმარე პერსონალი - საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი. ამ მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება სტრუქტურული ერთეულის შექმნა.

2016-2017 სასწავლო წლის მონაცემები სტუდენტების შესახებ

	რ-ბა	სტუდენტის სტატუსი			მობილობა		
		შეჩერება	აღდგენა	შეწყვეტა	შიდა	გადავიდა	გადმოვიდა
პროფესიული სტუდენტი	საგნობრივი პროგრამა	99	10	4	3		
	მოდულური პროგრამა	13	1		2		
საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი	ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტი	11	6		1	3	4
	უცხოელი სტუდენტი	7					
	სულ:	130	17	4	5	1	3

❖ პერსონალი

დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნებასა და ამაღლებაზე. გეგმავს საკუთარი რესურსით სხვადასხვა ტრენინგებს, ასევე უზრუნველყოფს პერსონალის ჩართვას გარე ტრენინგებში. მიმდინარე სასწავლო წელს ტრენინგი გაირა:

- პროფესიული განათლების მასწავლებელი - 36 პირი
- აკადემიური პერსონალი - 2 პირი

აკადემიის პერსონალის მიერ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული დაწესებულებებისთვის გაიმართა ტრენინგები:

- სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით - საინფორმაციო ბაზების წარმოება;
- მასწავლებელთა სახლის დაკვეთით - ოფისის მენეჯერის პროფესიული პროგრამის მასწავლებლების ტრენინგი;
- მასწავლებელთა სახლის დაკვეთით - ბუღალტრის პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი;
- სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით - სასწავლო პროცესის ადმინისტრირება;
- სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით - შიდა მხარდაჭერი ჯგუფის კოორდინირებული საქმიანობისა და შეფასების პროცესის დაგეგმვა;
- საქართველოს კერძო კოლეჯების დაკვეთით - კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება.

მიმდინარე სასწავლო წელს პროფესიული განათლების მასწავლებლების კორპუსი შეივსო 23 კვალიფიციური კადრით, ხოლო საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა 2 პირთან.

მიმდინარე წელს არ განხორციელებულა აკადემიური პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასება და შეფასება აკადემიის მხრიდან. შეფასება განხორციელდა მხოლოდ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისა. ამ უკანასკნელის შეფასების მაჩვენებლები ასახულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში. განხორციელდა პროფესიული სტუდენტების მიერ მასწავლებლებისა და სასწავლო კურსების შეფასება. შეფასების ანკეტების ანალიზისას ძირითადი პრეტენზიები მიმართული იყო ინფორმაციის დროული მიწოდებისა და სასწავლო ლიტერატურის მითითების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ანკეტები, მიუხედავად იმისა, რომ მოიცავს თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკვლევ პარამეტრს, ნაკლებ ინფორმაციულია, როგორც მასწავლებლების, ისე სტუდენტების მიერ შევსების დროს.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

მანანა მახარაშვილი

28.04.2017